

პეიზაჟ პორტრეტი

რეალისტური მხატვრობი

ინგლისურიდან თარგმნა
ლია იმერლიშვილმა



გამოცემა არტაცუვი
თბილისი

**ჯეიმზ ჯოისი
დუბლინერსი**

James Joyce

DUBLINERS

Translated by Lia Imerlishvili

Georgian Edition: ARTANUJI Publishing

რედაქტორი
თამარ ლონდარიძე
დამკაბადონებელი
ვიოლა ჭულუშვილი
გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭავჭავაძე

ISBN 978-9941-478-87-1

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2019

დეპი	5
შესვებრა	17
არაპეტი	29
ევილინი	39
ავტორპოლის შემდეგ	47
ორი რაინდი	57
კანსიონი	73
პატარა ღრუბელი	85
ასლეპი	105
მიზა	121
უგეძური შემთხვევა	133
სუროს დღე	149
დედა	171
ღვთისცხალობა	189
მიცვალებული	221

ଲୋକ

მისი გადარჩენის იმედი ამჯერად აღარავის ჰქონდა, ეს უკვე მესამე შეტევა იყო. ყოველ საღამოს ჩავუვლიდი ხოლმე სახლს (ეს ამბავი არდადეგების დროს მოხდა) და ფანჯრის განათებულ ოთხეუთხედს ვაკვირდებოდი, საიდანაც ყოველთვის თანაბარი, მკრთალი შუქი გამოდიოდა. რომ მომკვდარიყო, სანთლების ანარეკლს დავინახავდი-მეთქი ჩამუქებულ ფარდაზე, ვფიქრობ-დი მე, რადგან ვიცოდი, რომ ორი სანთელი აუცილებლად უნდა ენთოს მიცვალებულის თავთით. ხშირად მეტყოდა ხოლმე, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერიაო, მაგრამ მისი სიტყვების არა მჯეროდა, ახლა კი ვიცი, რომ მართალს ამბობდა. ყოველ სა-ლამოს, ფანჯარას რომ შევცეკეროდი, ჩუმად ვიმეორებდი სიტყ-ვას „დამბლა“. ეს სიტყვა ჩემს ყურში ყოველთვის უცნაურად უდერდა, როგორც „გნომონი“ ეველიდესთან ან „სიმონია“ კატე-სიზმოდან. ახლა კი რომელიღაც ბოროტი და ცოდვილი სულის სახელივით ჩამესმოდა, მაკრთობდა და მაშინებდა, მაგრამ ვერ ვძლევდი სურვილს ახლოს მივსულიყავი და ჩემი თვალით მენახა მისი მომაკვდინებელი მოქმედება.

ბებერი კოტერი ბუხართან იჯდა და ჩიბუხს ეწეოდა, როცა მე სავახშმოდ ჩავედი ძირს. ვიდრე დეიდაჩემი ფაფას მისხამდა, მან, თითქოს შენცვეტილ საუბარს განაგრძობსო, თქვა:

— არა, ვერ ვიტყვი, რომ ის მართლაც... მაგრამ, რაღაც უცნაური რამ სჭირდა... მე მგონია... — და იგი ჩიბუხის პლაკუნს მოჰყვა, რათა დრო მოეგო და სათქმელი მოეფიქრებინა. გა-მოჩერჩეტებული ბებერი! რომ გავიცანი, მაინც უფრო ჭვიანი

ჩანდა, არყის გამოხდის ხერხებს გვაცნობდა, მაგრამ მე მალე მომბეზრდა მისი დაუსრულებელი ლაქლაქი ერთსა და იმავეზე.

– ამ საკითხზე საკუთარი შეხედულება მაქვს, – თქვა მან.

– ჩემი აზრით, ეს იყო ერთი იმ იშვიათ შემთხვევათაგანი...

თუმცა, რა იცი კაცმა, ძნელი სათქმელია...

ისევ ჩიბუხი ააპლაკუნა, მაგრამ თავისი შეხედულება მაინც არ გაგვიზიარა. ბიძამ შეამჩნია ჩემი გაოცებული მზერა და მითხრა:

– ჰო, შენი მოხუცი მეგობარი გარდაიცვალა, ვიცი, გეწყინება.

– ვინ? – ვკითხე ბიძაჩემს.

– მამა ფლინი.

– მოკვდა?

– მოკვდა. სწორედ ახლა გვითხრა მისტერ კოტერმა; მისი სახლის წინ ჩაუვლია.

ვიცოდი, რომ ყველა მე მიყურებდა და ჭამა განვაგრძე, თითქოს ამ ამბავს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ბიძაჩემმა მისტერ კოტერს აუხსნა:

– განსვენებული და ეს ჩვენი ბიჭი დიდი მეგობრები იყვნენ. მამა ფლინმა ბევრი რამ ასწავლა პატარას, ამბობენ, ძალიან უყვარდაო.

– აცხონოს ღმერთმა, – სასოებით წარმოსთქვა დეიდამ. მისტერ კოტერი ერთხანს უსიტყვოდ მიყურებდა. ვგრძნობდი მისი მძივივით მრგვალი, შავი თვალების მზერას, მაგრამ თევზიდან თავი მაინც არ ამიღია. მერე ისევ თავის ჩიბუხს მიუბრუნდა და, ბოლოს, გულმოსულმა, ბუხარში ჩაპურჭყა.

– მე პირადად, ჩემს ბავშვებს ასეთ კაცთან მეგობრობის ნებას არ დავრთავდი.

– მაგით რისი თქმა გნებავთ, მისტერ კოტერ? – ჰკითხა დეიდამ.

– იმისი, რომ ბავშვისათვის ეს საზიანოა. – უპასუხა კოტერმა, – მე თუ მკითხავთ, პატარა ბიჭმა თავის ტოლებთან ერთად უნდა ირბინოს და ითამაშოს, და არა... მართალს ვამბობ თუ არა, ჯეკ?

– პო, მეც ასე ვფიქრობ, – თქვა ბიძაჩემმა, – სჯობს თავის ქერქში დაეტიოს. სულ იმას ვეუპნები, ცოტა გაინძერი, ივარ-ჯიშე-მეთქი, მაგრამ ვის ესმის? მაგოდენა ლლაპი რომ ვიყავი, ზამთარ-ზაფხულ, ყოველ ცისმარე დილით ცივ წყალში ვბანაობდი. იმიტომაც მომყვა აქამდე ჯანი. სწავლა-განათლება, იცოცხლე, კარგი საქმეა, მაგრამ, იქნებ მისტერ კოტერს ის ცხვრის ბარკალი გაესინჯა? – მიუბრუნდა იგი დეიდაჩემს.

– არა, არა, გმადლობთ, ნუ შეწუხდებით, – იუარა კოტერმა.

დეიდამ განჯინიდან ლანგრით გამოიღო ხორცი და მაგიდაზე დადგა.

– მაინც, რატომ გგონიათ, ბატონო, რომ ეს მავნეა ბავშვები-სათვის? – ჰკითხა მან მისტერ კოტერს.

– დიახ, ჩემო კარგო, ბავშვისათვის ეს საზიანოა, და აი, რა-ტომ: ყმანვილის გონება ჯერ მოუმწიფებელია და როცა ბავშვი ამგვარ რასმე ხედავს, როგორ გგონიათ, მასზე არ იმოქმედებს?

შეშინებულმა პირი ფაფით გამოვიტენე, რათა სიბრაზისაგან არაფერი წამომცდენოდა. ბებერი, წითელცხვირა რეგვენი!

იმ ღამეს გვიან დამეძინა. მართალია, ძალიან გაბრაზებული ვიყავი ბებერ კოტერზე, ბავშვად რატომ მთვლის-მეთქი, მაგრამ მაინც დიდხანს ვიმტვრევდი თავს, რათა მისი გადაკრული სიტყვების აზრი გამეგო. ოთახის სიბრელეში მეჩვენებოდა, რომ კვლავ ვხედავდი დამბლადაცემულის გახევებულ, მიწისფერ სახეს. თავზე წავიხურავდი საბანს და ვცდილობდი შობის დღეებზე მეფიქრა, მაგრამ მიწისფერი სახე თვალიდან არ მშორდებოდა, განუწყვეტლივ ჩურჩულებდა, და მე მივხვდი, რაღაცის მონანიებას ლამობდა. ვგრძნობდი, როგორ ინთემებოდა ჩემი სული ცოდვასავით ტკბილ ზმანებებში, იქ კი ისევ მიწისფერი სახე მიდარაჯებდა. ის აღსარებას მეუბნებოდა ნელი ჩურჩულით და ვერ გამეგო, რატომ ილიმებოდა გამუდმებით, ან რატომ მოსდგომოდა ტუჩებზე დორბლი. მერე გამახსენდა, რომ მოხუცი დამბლით გარდაიცვალა და ვიგრძენი, როგორ საწყალობლად გავიღიმე თვითონაც, თითქოს სიმონის ცოდვა მიმეტევებინოს მისთვის.

მეორე დილით, ნასაუზმევს, გრეით-ბრიტენ-სტრიტისკენ გავეშურე, რომ ისევ იმ პატარა სახლისთვის შემევლო თვალი. ეს ერთი უბრალო, მიყრუებული მაღაზია გახლდათ, გაურკვეველი წარწერით – „საგალანტერიო საქონელი“. საგალანტერიო საქონელში უმთავრესად ბავშვის ფეხსაცმელი და ქოლგები იგულისხმებოდა. ჩვეულებრივ, ვიტრინაში გამოკრული განცხადება გვამცნობდა, რომ აქ წარმოებდა „ქოლგების შეკეთება“. ახლა კი განცხადება არ ჩანდა, რადგან დარაბები დაეხურათ, ხოლო კარის ჩაქუჩიზე შავი კრეპი შემოეხვიათ. ორი ლარიბულად ჩაცმული დედაკაცი და დეპეშის დამტარებელი ბიჭი კრეპზე ქინძისთავით მიმაგრებულ პატარა ქაღალდს კითხულობდნენ. მეც მივედი და წავიკითხე:

1 ივლისი, 1895 წ.

ლირსი მამა ჯეიმზ ფლინი

(წმინდა ეკატერინეს ეკლესიის ყოფილი წინამძღვარი)
სამოცდახუთი წლის.

განუსვენე, უფალო, მონასა შენსა.

ბარათის წაკითხვამ დამარწმუნა, რომ ის მართლა მომკვდარიყო და ამ უეცარმა დაპრკოლებამ შემაცბუნა. მკვდარი რომ არ ყოფილიყო, შევიდოდი დუქნის უკან პატარა ოთახში და დავინახავდი ბუხართან სავარძელში ჩამჯდარს, ერთიანად შეფუთნულს თავის გრძელ პალტოში. იქნებ დეიდას ერთი კოლოფი ბურნუთიც გამოეტანებინა ჩემთვის, ეს საჩუქარი კი აუცილებლად გამოაფხიზლებდა გამომათაყვანებელი თვლემისაგან. მე თვითონ ვუყრიდი ხოლმე ბურნუთს კოლოფიდან შავ საბურნუთეში, რადგან ხელები უცახცახებდა და ვერ ახერხებდა ამის გაკეთებას ისე, რომ ნახევარი მაინც ძირს არ დაეპნია. მაშინაც კი, როცა თავისი დიდი, აცახცახებული ხელი ცხვირთან მიჰქონდა, ბურნუთი თითებიდან უსხლტებოდა და ტანისამოსზე ეყრდნობა. ალბათ თამბაქოს ეს მუდმივი მტვერი იყო იმის მიზეზი, რომ მის გაცვეთილ, გახუნებულ ანაფორას მომწვანო ფერი დაჰკრავდა, რადგან კვირის განმავლობაში თამბაქოსაგან მთლად დალაქავე-

ბული წითელი ხელსახოცი, რომლითაც მოხუცი მტვრის ჩამობერტყვას ცდილობდა, საამისოდ სრულიად გამოუსადეგარი იყო.

მინდოდა, შევსულიყავი და მენახა იგი, მაგრამ დაკაკუნება ვერ გავძედე. ნელა გავუყევი ქუჩის მზიან მხარეს, თან დუქნების ვიტრინებში გამოკრულ თეატრალურ აფიშას ვკითხულობდი. უცნაურად მეჩვენებოდა, რომ არც მე, არც ამ მზიან დღეს მწუხარება არ გვეტყობოდა და, ცოტა არ იყოს, გული მეტკინა, როცა ერთგვარი თავისუფლება ვიგრძენი, თითქოს მის სიკვდილს მძიმე ტვირთი მოეხსნას ჩემთვის. მიკვირდა ეს ამბავი, იმიტომ, რომ ბიძაჩემის წუხანდელი თქმისა არ იყოს, მოხუცმა მართლაც ბევრი რამ მასწავლა. მას რომის ირლანდიურ კოლეჯში ჰქონდა განათლება მიღებული და ლათინურის სწორად კითხვაში მავარჯიშებდა. მიამბობდა კატაკომბებსა და ნაპოლეონ ბონაპარტეზე, მიხსნიდა ღვთისმსახურების სხვადასხვა წესისა და სამღვდელო შესამოსელთა მნიშვნელობას. ზოგჯერ იმით ერთობოდა, რომ რთულ კითხვას მისვამდა, მაგალითად, როგორ უნდა მოიქცეს კაცი ამა თუ იმ შემთხვევაში, ან რა მიიჩნევა უბრალო შეცოდებად. მისი კითხვები მარწმუნებდა, რაოდენ რთული და იდუმალი იყო ის საეკლესიო დოგმები, რომელთაც ყოველთვის უბრალო წეს-ჩვეულებებად ვთვლიდო. მღვდლის მოვალეობანი ევქარისტიისა და აღსარების საიდუმლოს მიმართ ისე საძნელოდ მეჩვენებოდა, რომ ვერ გამეგო, როგორ შეეძლო ვინმეს ნებაყოფლობით ეტვირთა ისინი. ამიტომ, სულაც არ გამკვირვებია, როცა გავიგე, რომ წმინდა მამებს, მთელ ამ ჩახლართულ საკითხთა განსამარტივად, საფოსტო ცნობარებივით სქელტანიანი წიგნები დაუწერიათ თურმე, ისეთივე წვრილი შრიფტით ნაბეჭდი, როგორითაც გაზეთებში აწყობენ განცხადებებს სასამართლო პროცესების შესახებ. ხშირად, როცა ამაზე ვფიქრობდი, მის კითხვას ვეღარ ვპასუხობდი, ანდა რაიმე სულელურს წამოვროშავდი ხოლმე, ის კი გაიღიმებდა და ორჯერ-სამჯერ თავს დააქნევდა. ხანდახან უამნეს მაკითხებდა, რომელიც უკვე ზეპირად ვიცოდი, და თუ წავიბორძიკებდი, ისევ ისე სევდიანად იღიმებოდა, თავს იქნევდა და კარგა მოზრდილ მწიკვს იტენიდა ხან ერთსა და ხან მეორე

ნესტოში. ლიმილის დროს დიდრონი, ჩაყვითლებული კბილები უჩანდა, ენა კი ქვედა ტუჩს ეფარებოდა ხოლმე. ეს ჩვეულება, თავდაპირველად, ვიდრე უკეთ გავიცნობდი მოხუცს, უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდა.

ასე მივუყვებოდი ქუჩის მზიან მხარეს, თან ბებერი კოტერის ნათქამს ვიგონებდი და ვცდილობდი გამეხსენებინა რა მოხდა მერე სიზმარში. კვლავ თვალწინ წარმომიდგა ხავერდის გრძელი ფარდები და ძველებური ლამპა. სადღაც შორს ვიყავი, რომელი-ღაც უცხო მხარეში, სადაც ხალხს ჩემთვის უცნობი ჩვეულებები ჰქონდა. მგონი, სპარსეთი იყო. მაგრამ სიზმრის ბოლო ვერა-ფრით ვერ გავიხსენე.

საღამო ჟამს დეიდაჩემმა თან წამიყვანა მიცვალებულის სახლში. მზე უკვე ჩასული იყო, მაგრამ სახლების დასავლეთით მიქცეულ ფანჯრებში მერამული ღრუბლების გრძელი მნკრივი ირეკლებოდა. ნენი წინკარში გამოგვეგება და რაკი ხმამაღლა მისამძიმრება უხერხული იქნებოდა, დეიდამ უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი. დედაბერმა ზევით მიცვანიშნა კითხვის გამომხატველი მზერით, და როცა დეიდამ თავი დაუქნია, ვიწრო კიბეზე აგვიძღვა წელში მოხრილი. ჩაქინდრული თავი კი თითქმის მოაჯირის გასწრივ მიჰქონდა. კიბის თავზე შეჩერდა და გამამხნევებლად დაგვიქნია ხელი, თან მიცვალებულის ოთახის ლია კარისაკენ მიგვითითა. დეიდაჩემი შევიდა, მოხუცმა კი, ყოყმანი რომ შემაჩინია, ისევ დამიქნია ხელი.

ფეხაკრეფით შევედი. ფარდის მაქმანიანი კიდეებიდან ოთახში დაისის ოქროსფერი შუქი იღვრებოდა და ამ შუქზე სანთლების ალი ცეცხლის მკრთალ, სიფრიფანა ენებად ჩანდა. მიცვალებული კუბოში იწვა. ჩვენ ნენის მივბაძეთ და კუბოსთან დავიჩოქეთ. ისეთი სახე მივიღე, თითქოს ვლოცულობდი, მაგრამ გონების მოკრება მიჭირდა, დედაბერის ბუტბუტი მაბნევდა. თან ისიც შევამჩნიე, რომ კაბა უკან მრუდედ შეეკრა, ქეჩის ფეხსაცმელზე კი ქუსლები მოჰქცეოდა. უცებ თავში გამიელვა აზრმა, რომ მოხუცი მღვდელი კუბოში იღიმებოდა.

მაგრამ არა, როცა წამოვდექით და კუბოს თავთან მივედით, დავინახე, რომ მღვდელი არ იღიმებოდა. ზვიადი და გოროზი – ის იწვა ისე ჩაცმული, თითქოს ღვთისმსახურებისათვის ემზადებაო. დიდრონი, გულზე დაკრეფილი ხელებით ბარძიმი ეპყრა. სახე ძალზე მრისხანე ჰქონდა, ნაცრისფერი და ფართო, მეჩხერი ჭალარა წვერით შემოსილი, ხოლო ნესტოები ორ ბნელ ხვრელს მიუგავდა. ოთახში ყვავილების მძიმე სუნი იდგა.

პირჯვარი გადავიწერეთ და გამოვედით. ქვევით, პატარა ოთახში, მის საყვარელ სავარძელში ელიზა იჯდა. მე კუთხეში ჩემს ჩვეულ ადგილს მივაშურე, ნენი კი განჯინასთან მივიდა, ღვინით სავსე სურა და რამდენიმე ჭიქა გადმოილო, მაგიდაზე დადგა და შემოგვთავაზა თითო ჭიქა დაგველია. მერე, თავისი დის ბრძანებისამებრ, ღვინო დასხა და ჭიქები მოგვაწოდა. მე ორცხობილაც შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან ხმა-მალლა ხრამუნისა მომერიდა. დედაბერს ჩემი უარი ეწყინა, ჩუ-მად მივიდა დივანთან და დის ზურგს უკან დაჯდა. ხმას არავინ იღებდა. ყველანი ჩამქრალ ბუხარს ჩავცეროდით.

დეიდამ აცალა, ვიდრე ელიზა ამოიოხრებდა და თქვა:

– ეჱ, რას იზამ, ახლა ის უკეთეს ქვეყანაშია.

ელიზამ ისევ ამოიოხრა და დასტურის ნიშნად თავი დახარა. დეიდამ კი, სანამ ღვინოს მოსვამდა, ხელში შეატრიალა ჭიქა.

– მაინც როგორ... მშვიდად მიიცვალა?

– ო, ისე მშვიდად, ქალბატონო, – უპასუხა ელიზამ, – ვერც კი ვიტყვი, სული როდის ამოუვიდა. კარგი სიკვდილით მოკვდა, მადლობა უფალს.

– სხვა დანარჩენი?..

– მამა ო'რურკი იყო სამშაბათს, აზიარა და ყოველნაირად შეამზადა.

– მაშ, იცოდა?

– ჰო, შეგუებული იყო იმ აზრს, რომ უნდა მომკვდარიყო.

– ეტყობა კიდეც სახეზე, – თქვა დეიდამ.

– იმ ქალმაც ეგ თქვა, გასაბანად რომ მოვიყვანეთ. გეგონება სძინავსო, ძალიან მშვიდად გამოიყურებათ. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი კარგი მიცვალებული იქნებოდა.

– მართლაც, – დაეთანხმა დეიდა და კიდევ ერთი ყლუპი ღვინო მოსვა. მერე თქვა:

– ყოველ შემთხვევაში, მის ფლინ, თქვენთვის მაინც დიდი ნუგებია, რომ ყველაფერი გაუკეთეთ, რისი გაკეთებაც შეგეძლოთ. თქვენ ორივენი ძალიან ზრუნავდით მასზე.

ელიზამ კალთაზე ჩამოისვა ხელი, კაბა გაისწორა.

– ეჲ, საწყალი ჯეიმზი! – ამოიოხრა მან, – ღმერთმა ხომ იცის, არაფერი დაგვიშურებია, დიდად არ გვილნიდა, მაგრამ გაჭირვება მაინც არ გვიგრძნობინებია მისთვის.

ნენის მუთაქაზე ჩამოედო თავი და თვლემა მორეოდა.

– აი, საცოდავ ნენისაც არაქათი გამოელია, – თქვა ელიზამ და დას შეხედა. – ყველაფრის გაკეთება ჩვენ თვითონ მოვიხდა... ქალი ვიშოვეთ, რომ გაებანა და ჩაესვენებინა, კუბო მოვიტანეთ, მღვდელს ვანირვინეთ ეკლესიაში... მამა ო'რურკი რომ არ ყოფილიყო, არც კი ვიცი, როგორ მოვახერხებდით ამდენ რამეს. ყვავილებიც იმან გამოგვიგზავნა, ის ორი შანდალიც იმან მოიტანა ეკლესიიდან, განცხადებაც მისცა „სამოქალაქო უწყებებში“, სასაფლაოს საკითხიც თვითონ მოაგვარა და საწყალი ჯეიმზის დაზღვევის ამბებსაც ეგ მიხედავს.

– მართლაც რომ ძალიან გარჯილა, – თქვა დეიდაჩემმა. ელიზამ თვალები დახუჭა და ნელა დააქნია თავი.

– ძველ მეგობარს ვერავინ შეედრება, – განაგრძო მან. – თუმცა, კაცმა რომ თქვას, სხვა ვინ უნდა უპატრონოს მიცვალებულს?

– ეგეც მართალია, – დაეთანხმა დეიდაჩემი. – ახლა ის უკვე სასუფეველშია და თქვენს სიკეთეს არ დაივიწყებს.

– ეჲ, საწყალი ჯეიმზი! – თქვა ელიზამ. – არც ისე ძალიან გვაწუხებდა. ახლა ხომ დუმს და დუმს, მაგრამ სიცოცხლეშიც დიდი უთქმელი კაცი იყო. ეგ არის, ვიცი, რომ მკვდარია, თორემ...

– ყველაფერს რომ მორჩებით, მაშინ კი ძალიან დაგაკლდებათ თვალში, – უთხრა დეიდამ.

— ვიცით, რომ ეგრე იქნება, — დაეთანხმა ელიზა. — აღარ დამჭირდება მისთვის ბულიონის შეტანა, აღარც თქვენ გამოუგზავნით ხოლმე თუთუნს, ქალბატონო. ეჰ, საწყალი ჯეიმზი!

— იგი გაჩუმდა, თითქოს მოგონებებში ჩაიძირაო, მერე შთა-მაგონებლად წარმოსთქვა:

— ამ ბოლო დროს კი ვამჩნევდი, რომ სასიკეთო არა იყო რა მის თავს. როცა არ უნდა შევსულიყავი, ლოცვანი ყოველთვის ძირს დაგდებული მხვდებოდა, თვითონ სავარძელში იყო გადაწოლილი, პირი კი ღია ჰქონდა ხოლმე.

მან თითო მიიდო ცხვირზე და შუბლი შეიჭმუხნა. მერე კვლავ განაგრძო.

— თავისას მაინც არ იშლიდა. სულ იმას ამბობდა, სანამ ზაფხული გავა, ერთ მშვენიერ დღეს როგორმე აირიშტაუნში წავალ ჩვენი ძეველი სახლის სანახავადო. იმ სახლის, სადაც დავიბადეთ სამივე. მეც თან უნდა წავეყყანე, მეც და ნენიც. ოღონდ, როგორმე მოგვეხერხებინა და ჯონი რაშთან, აქვე, ახლოს, იაფად გვეშოვნა ის ახლებური ეტლი, გზაზე რომ არ რახრახებს; მამა ორურკმა უთხრა, ახლა აკეთებენ ასეთ ეტლებსო, რაღაცნაირი თვლები აქვთ და რბილად მიგორავენო. სამივე უნდა წავსულიყავით ერთ კვირა საღამოს... საწყალი ჯეიმზი, ბოლო დროს სულ ამაზე ოცნებობდა.

— ღმერთო, სასუფეველი დაუმკვიდრე მის სულს, — თქვა დეიდამ.

— ელიზამ ცხვირსახოცი ამოილო და თვალები შეიმშრალა, მერე ისევ ჯიბეში ჩაიდო და ერთ ხანს მდუმარედ ჩასცეროდა ჩამქრალ ბუხარს.

— მერე როგორი პატიოსანი იყო ყოველთვის, — დაიწყო ისევ მან. — მღვდლის მოვალეობა მეტისმეტად ემძიმებოდა. მწარე ხვედრი არგუნა ბედმა, ნამდვილი ჯვარცმული იყო.

— ჰო, — თქვა დეიდამ. — ტანჯული კაცი იყო, ყველაფერზე ეტყობოდა.

პატარა ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. ამით ვისარგებლე, მაგიდასთან მივედი, ჩემი ჭიქიდან ცოტა ღვინო მოვსვი და ისევ

კუთხეში მდგარ პატარა სკამს დავუბრუნდი. ელიზა თითქოს ფიქრებს წაეღო. ჩვენ მონინებით ველოდით, როდის დაარღვევდა მდუმარებას. გრძელი პაუზის შემდეგ მან ხმადაბლა თქვა:

– სულ იმ ბარძიმის ბრალი იყო, მაშინ რომ გაუტყდა... იქიდან დაიწყო ყველაფერი. მართალია, ამბობდნენ, ისეთი რა მოხდა, შიგ ხომ არაფერი იყო, მაგრამ მაინც... ისიც თქვეს, მსახური იყო დამნაშავეო... მაგრამ საწყალი ჯეიმზი ისე ღელავდა... ეჰ, ღმერთმა აცხონოს!..

– მაშ, ამის ბრალი იყო? – შეიცხადა დეიდამ. – მე გავიგე, თითქოს...

ელიზამ თავი დაუქნია.

– სწორედ ამის გამო აერია გონება, – თქვა მან. – მას მერე დასევდიანდა, გულჩათხრობილი გახდა, აღარავის ელაპარაკებოდა, მარტო დაეხეტებოდა. ერთ საღამოს ვიღაცის საზიარებლად დასჭირდათ და ვერსად იპოვეს. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერსად იპოვეს. მერე დიაკვანმა თქვა, მოდი, ეკლესიაშიც შევიხედოთო. წაიღეს გასაღებები, გააღეს ეკლესია; დიაკვანი, მამა ო'რურკი, კიდევ ერთი მღვდელიც იყო, ყველანი შევიდნენ ჩირალდნებით, რომ ენახათ იქ იყო თუ არა, პოდა, როგორ გვინიათ, სწორედ იქ მიაგნეს – ზის მარტოდ-მარტო სიბნელეში, თავის პატარა საალმსარებლოში, თვალები დაუჭყეტია და თითქოს თავისთვის იცინის...

ის უცებ გაჩუმდა, თითქოს რაღაცას მიაყურაო, მეც სმენად ვიქეცი, მაგრამ სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ვიცოდი, მოხუცი მღვდელი წყნარად ინვა თავის კუბოში, სწორედ ისეთი, როგორიც ჩვენ ვნახეთ – ზვიადი და გოროზი მიცვალებული, ცარიელი ბარძიმით მკერდზე.

ელიზამ ამოიოხრა:

– თვალები დაუჭყეტია და თითქოს ჩუმად იცინის თავისთვის... მაშინ კი, რაღა თქმა უნდა, რაკი ამ დღეში ნახეს, ყველა მიხვდა, რომ სასიკეთო არა სჭირდა რა...